08/07/2025

MES 6 25 0000851523

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.06.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 20:07
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I, III, IV, VI, VII, VIII, IX საკითხები)
სხდომის თავმჯდომარე: ციური დურული (II და V საკითხები)
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი (I, II, III, V, VI, VII, VIII, IX საკითხი)
სხდომის მდივანი: ვლადიმერ ადეიშვილი (IV **საკითხი)**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
4. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
5. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

8. ქეთევან ნანობაშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
9. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
10. მაქსიმ იავიჩი - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
12. მზია წიკლაური - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
13. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
14. ქრისტინე ახალაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
15. ბონდო გასვიანი - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
16. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
1. დავით კუხალაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. მარიამ ბერიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
1. შპს ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი „ნეუ":
1. სალომე პირველი - რექტორი
2. ანჟელა აბულაძე - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. მაკა (მარინე) კობალავა - პროგრამის ხელმძღვანელი;
4. მარიამ რაზმაძე - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი;
5. სოფიო ალფაიძე - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;

2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:
1. კახაბერ კორძაია - უნივერსიტეტის რექტორი;
2. მარინა გედევანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ფიქრია კაპანაძე - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
4. თინათინ დოლიაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების 180 კრედიტიანი ქართულენოვანი პროგრამის ხელმძღვანელი;

5. ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების 180 კრედიტიანი ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელი;

3. შპს ბრიტანული უნივერსიტეტი:

1. ლევან გურგენიძე - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი; მეწარმეობა და ინოვაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
2. მარიამ ბოლქვაძე - მეწარმეობა და ინოვაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
3. ლაშა დავითაძე - ლიდერობის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. მიხეილ გურგენიძე - ლიდერობის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
5. ნინო ლობჟანიძე - ასოცირებული პროფესორი;
6. სოფიო მშვიდიობაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

1. ივანე ჯაგოდნიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. თალიკო ჟვანია - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი;
3. თინათინ კაიშაური - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. ანა კობიაშვილი - „კომპიუტერული ინჟინერიის“ ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
5. ალექსანდრე ბენაშვილი - „კომპიუტერული ინჟინერიის“ ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. ლევან იმნაიშვილი - „კომპიუტერული ინჟინერიის“ ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. თეა კორძაძე - აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. მაია გაბუნია - "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
3. ნათია ღაჭავა - აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი;
4. მირანდა მნაცაკანიანი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

აკრედიტაციის ექსპერტები:

1. მერაბ ხოხობაია - I საკითხი;
2. რევაზ გერაძე - I საკითხი;
3. სანდრო ტაბატაძე - I საკითხი;
4. ნათია მაღალაშვილი - I საკითხი;
5. დავით სიხარულიძე - II საკითხი;
6. ქეთევან ქავთარაძე - II საკითხი;
7. სოფიო უგრეხელიძე - II საკითხი;
8. ნათია მაღალაშვილი - II საკითხი;
9. ეკატერინე ნაცვლიშვილი - III საკითხი;

10. თამაზ უზუნაშვილი - III საკითხი;
11. თამთა ცხოვრებაძე - III საკითხი;
12. გიორგი მერაბიშვილი - III საკითხი;
13. მაქსიმ იავიჩი - IV საკითხი;
14. მანანა ხაჩიძე - IV საკითხი;
15. სანდრო ტაბატაძე - IV საკითხი;
16. ვაჟა კელიხაშვილი - IV საკითხი;
17. ბელა ჯაფოშვილი - V საკითხი;
18. მაია აზმაიფარაშვილი - V საკითხი;
19. სანდრო ტაბატაძე - V საკითხი;
20. გიორგი მერაბიშვილი - V საკითხი;

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის I, III, IV საკითხების განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ, ხოლო II და V საკითხების განხილვას, საბჭოს წევრმა ციური დურულმა. IV საკითხზე მდივნის მოვალეობა შეასრულა ვლადიმერ ადეიშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი ნეუ"-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში „ლიდერობისა„ და „მეწარმეობა და ინოვაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკოლოგიის” საბაკალავრო საგანმამათლებლო პროგრამი აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილების თაობაზე, კერძოდ,

1მან აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული 1-ელი და მე-5 საკითხის შეფასების პროცესი განახორციელა საერთაშორისო ექსპერტმა მუჰამედ აბდულ რაუფმა, შესაბამისად, მისთვის მორგებული სამუშაო პირობების შექმნის მიზნით, მიზანშეწონილია, რომ საბჭომ მე-5 საკითხი (შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაცია) განიხილოს მე-2 საკითხად. შესაბამისად, საერთაშორისო ექსპერტს მოუწევს პირველი და მეორე საკითხები წარდგენა.
ქეთევან ინანაშვილმა ასევე დააყენა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგზე დამატებით დღის წესრიგზე დამატებით საბჭოს განეხილა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების სამი პროგრამის: „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო და „ფინანსების” საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის შესახებ გასაწყვეტილებებსა და ოქმში ცვლილებების შეტანის თაობაზე (დაწესებულების წერილი 35/4040, 05/06/2025).

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი ნეუ"-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში „ლიდერობისა„ და „მეწარმეობა და ინოვაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკოლოგიის” საბაკალავრო საგანმამათლებლო პროგრამი აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1570039 ოქმის პირველ ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;
7. "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსები (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571165 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
8. "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
9. "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571180 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

1. **პირველი საკითხი:** შპს ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი ნეუ"-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, მუჰამედ აბდულ რაუფმა (Muhammad Abdul Rauf) დამსწრე საზოგადოებას გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სალომე პირველმა, აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა დაწესებულებას კითხვით მიმართა - აინტერესებდა, არსებობდა თუ არა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანჟელა აბულაძემ განმარტა, რომ არსებობდა დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული საკითხი დეტალურად იყო გაწერილი. დოკუმენტი წარმოდგენილი იყო დამატებით დოკუმენტაციაში.
ქეთევან ნანობაშვილს ასევე აინტერესებდა, იყენებდა თუ არა დაწესებულება რუბრიკებს თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანჟელა აბულაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება აკადემიური მოსწრების ანალიზს ატარებდა კონკრეტული სკალის მიხედვით, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრებოდა სამიზნე ნიშნულები და შესაბამისად ხდებოდა შეფასება.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა დაწესებულებას კითხვა დაუსვა: მე-15 დანართში გამოქვეყნებული იყო პერსონალის სამეცნიერო ნაშრომები, თუმცა არ იყო წარმოდგენილი მათი შეფასება. მას აინტერესებდა, როგორ ხდებოდა აღნიშნული ნაშრომების შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანჟელა აბულაძემ განმარტა, რომ დაწესებულება აფასებდა მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს ორ მიმართულებით - სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის მიხედვით. მისი თქმით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს თვითშეფასების ფორმა, რომელსაც თითოეული ლექტორი წლის ბოლოს ავსებს. ასევე, უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს, რამდენი ქულა უნდა მოიპოვოს აკადემიურმა პერსონალმა კონფერენციებში მონაწილეობით ან სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებით. შემდგომ ხდება შედეგების დაჯამება და წლის ბოლოს გაიცემა ფულადი ჯილდო.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ ექსპერტებს პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიმართა კითხვით — რა გახდა ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.

ექსპერტის განმარტებით, კურსების განხილვისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ლიტერატურა არ იყო განახლებული, რის გამოც გაიცა რეკომენდაცია. აღნიშნული პრობლემა არ ეხებოდა ყველა კურსს, თუმცა, რამდენიმეში დაფიქსირების გამო, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა საკითხი რეკომენდაციის სახით წარმოედგინა.

საბჭოს წევრმა, მზია წიკლაურმა დაწესებულებას კითხვა დაუსვა — უფინანსებდა თუ არა უნივერსიტეტი პერსონალს საერთაშორისო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების ხარჯებს. ასევე, აინტერესებდა, რომელი წლის სახელმძღვანელოები იყო გამოყენებული და რა იყო მიზეზი იმისა, რომ სილაბუსებში ახალი სახელმძღვანელოები არ იყო წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კობალავამ განმარტა, რომ სილაბუსების შინაარსი განახლებულია. მხოლოდ რამდენიმე პროგრამის სილაბუსშია გამოყენებული 2015 წლის სახელმძღვანელოები, რაც ექსპერტებისთვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანჟელა აბულაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულად უჭერს მხარს ნაშრომების გამოქვეყნების პროცესს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფო ალფაიძემ განმარტა, რომ ყველა სახელმძღვანელო, რომელიც სილაბუსებშია გამოყენებული, უნივერსიტეტს აქვს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ვერსიის სახით. რეკომენდაცია გამოწვეული იყო იმით, რომ ვიზიტის დროს სტუდენტურ ბაზაში ყველა სახელმძღვანელო არ იყო ატვირთული. მიზეზი იყო ბაზის მოდიფიცირება, რის გამოც სახელმძღვანელოების ატვირთვა ინდივიდუალურად განხორციელდა.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა დაწესებულებას კითხვა დაუსვა — რა განსხვავებაა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმატიკის საგნებს შორის. ასევე, აინტერესებდა, შესაძლებელია თუ არა მხოლოდ ერთი 5-კრედიტიანი კურსით („კალკულუსი“) სტუდენტს ჰქონდეს მათემატიკური კომპეტენცია და გაამართლოს აკადემიური ხარისხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კობალავამ განმარტა, რომ პროგრამა 180-კრედიტიანია, საიდანაც 120 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს. შესაბამისად, არ იყო შესაძლებლობა, რომ თუნდაც 10 კრედიტი დათმობოდა აღნიშნულ საგანს. რაც შეეხება კომპეტენციას — კურსი უზრუნველყოფს იმ ცოდნას, რაც შრომით ბაზარზე ბაკალავრის დონეზე საჭიროა. ინფორმატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საგნებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათი სალექციო კურსები და სწავლების მეთოდიკა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება. შესაბამისად, განსხვავებულია სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინფორმატიკის კურსში ისწავლება საოფისე პროგრამები, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსში — საინფორმაციო სისტემები.

საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ აღნიშნა, რომ სილაბუსი საჭიროებს განახლებას როგორც შინაარსობრივად, ისე ლიტერატურის თვალსაზრისით.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ სასურველია კურსებს დაემატოს წინაპირობები და ყურადღება მიექცეს წინაპირობების რუკას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კობალავამ განმარტა, რომ წინაპირობების კუთხით გათვალისწინებულია მობილობით გადმოსული სტუდენტები, თუმცა, მისი თქმით, სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია წინაპირობების რუკის განახლება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:02
დასრულების დრო: 15:26

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი ნეუ"-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადამდე (2032 წლის 01 მარტამდე) 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს დადგენილებით შპს ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი ნეუ"-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობით და საბჭოს წერების თანხმობით აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 24 ივნისს.

2. მეორე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი

პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური

კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ლევან შავაძემ, ქეთევან ნანობაშვილმა და მზია წიკლაურმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭს წევრმა ციური დურულმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა მუჰამედ აბდულ რაუფმა (Muhammad Abdul Rauf) დამსწრე პირებს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში აღწერილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, მარინა გედევანიშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. მისი განცხადებით, დაწესებულება იზიარებს პირველ რეკომენდაციას. მან აღნიშნა, რომ 2004 წლის შემდეგ გაფორმებულ ყველა მემორანდუმში მითითებულია სტუდენტთა რაოდენობა. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარადგინა ორი ახალი მემორანდუმი, რომლებიც გაფორმდა ვიზიტის შემდგომ. შესაბამისად, მისი თქმით, აღნიშნული პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს. რაც შეეხება ადრე გაფორმებულ მემორანდუმებს, მათ საჭირო აქვთ განახლება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამა ახალია, ჯერ არ ჰყავს სტუდენტები და წინ კიდევ სამი წელია, რათა აღნიშნული პროცესი სრულად დაიხვეწოს.
მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ხაზგასმით აღინიშნა, რომ აკადემიური წერის სწავლება სტუდენტებისთვის იწყება პირველივე სემესტრიდან, ხოლო მეშვიდე სემესტრიდან აქტიურად მიმდინარეობს მათი მომზადება საბაკალავრო ნაშრომისათვის. უნივერსიტეტის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია დეტალური ინფორმაცია საბაკალავრო ნაშრომის შემუშავებისა და დაცვის წესის შესახებ. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის შეფასებით, აღნიშნული საკითხის რეკომენდაციის სახით წარმოდგენა არ იყო რელევანტური.
ექსპერტმა, ნათია მაღალაშვილმა, განმარტა და დააზუსტა, რომ ვიზიტის დროს, რამდენიმე მცდელობის შემდეგ, დადასტურდა ნაშრომის გაფორმების სტილი, თუმცა ეს პასუხი მიღებულ იქნა მრავალჯერადი შეკითხვებისა და მითითებების შედეგად.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა ექსპერტთა ჯგუფს კითხვა დაუსვა — მას აინტერესებდა იცავდნენ თუ არა კურსდამთავრებულების საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას აკადემიური ნაშრომის შესრულების სტილს.
ექსპერტმა, ნათია მაღალაშვილმა დაადასტურა, რომ საბაკალავრო ნაშრომებში სტილისტური მოთხოვნები დაცული იყო.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ მეშვიდე სემესტრამდე სტუდენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მიწოდებული შესაბამისი ინფორმაცია. მას აინტერესებდა, რა მექანიზმები არსებობდა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი წარადგენდა გაუმართავ საბაკალავრო ნაშრომს.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა განმარტა, რომ ყველა შესაბამისი წესი გაწერილია საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დოკუმენტში, რომელიც წარმოდგენილია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. მისი თქმით, თუ სტუდენტი ვერ დააკმაყოფილებს დოკუმენტში განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას, იგი ვერ მიიღებს ხელმძღვანელის დასკვნას და, შესაბამისად, ვერ გავა ნაშრომის დაცვაზე. შეცდომების ხარისხის გათვალისწინებით, შესაძლებელია სტუდენტს მიეცეს ნაშრომის კორექტირების შესაძლებლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:02
დასრულების დრო: 16:15
სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (3032 წლის 01 მარტამდე);

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს დადგენილებით შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 მარტამდე.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 24 ივნისს.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადამდე (3032 წლის 01 მარტამდე);

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს დადგენილებით შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 01 მარტამდე.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 24 ივნისს.

3. მესამე საკითხი: შპს ბრიტანული უნივერსიტეტის „ლიდერობისა„ და „მეწარმეობა და ინოვაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
პროგრამის დასახელება: ლიდერობა
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი

პროგრამის დასახელება: მეწარმეობა და ინოვაცია
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ძირითადად გაცემული იყო პირველსა და მეოთხე სტანდარტში. ექსპერტთა შეფასება საბოლოო ჯამში იყო პოზიტიური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან გურგენიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და ცენტრის წარმომადგენლებს გაწეული შრომისთვის. მისი განცხადებით, დაწესებულებამ სრულად გაიზიარა 1.4 და 1.5 რეკომენდაციები. 4.1 კომპონენტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულად აცნობიერებს აკადემიური პერსონალის კომპეტენციის მნიშვნელობას უნივერსიტეტის მდგრადი განვითარებისათვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დაწესებულებამ დაიწყო სტრატეგიული პარტნიორობა ჰუმბოლდტისა და ესექსის უნივერსიტეტებთან. ეს თანამშრომლობა უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის შესაძლებლობას, გარკვეული პერიოდი გაატაროს აღნიშნულ უნივერსიტეტებში და მიიღოს შესაბამისი გამოცდილება. ასევე, დოქტორანტებს ეძლევათ შესაძლებლობა, განივითარონ აკადემიური უნარები და გაიღოს გზა აკადემიური კარიერისკენ.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ბოლქვაძემ 1.4 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია და გადადგა კონკრეტული ნაბიჯები. უნივერსიტეტი პროგრამის გაძლიერებას გეგმავს სამი კომპონენტის დამატებით: გაყიდვების მენეჯმენტი და კომუნიკაცია; სამეწარმეო სამართალი და რეგულაციები; ინტელექტუალური საკუთრება და სტარტაპები. აღნიშნული ცვლილებები პასუხობს როგორც მიზნის ძირითადი დისციპლინის საფუძვლიან ცოდნას, ასევე სწავლის პირველ, მეხუთე და მეცხრე შედეგებს, რომლებიც მოიცავს ფინანსურ, სამართლებრივ და მენეჯმენტურ კომპეტენციებზე დაფუძნებული ანალიზისა და შეფასების უნარს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ გაიზრდება არჩევითი კურსების წილი. ახალი არჩევითი კურსები უკვე განსაზღვრულია გუნდის მიერ და მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ტექნოლოგიური ინოვაციების სამართლებრივი ჩარჩო, სამართლებრივი დაფინანსების სტრატეგიები და გლობალური ბაზრები და მეწარმეობა. აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურ ინტერესებზე მორგებას და აუმჯობესებს კურსდამთავრებულთა მზაობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით. ტექნოლოგიური კურსების შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს კურსები დამატებითია და ემსახურება ტექნოლოგიური უნარების განვითარებას, რაც მორგებულია თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე. საბოლოოდ, აღინიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული და სამართლებრივი მიმართულებით.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მიშა გურგენიძემ აღნიშნა, რომ ფინანსების, ოპერაციებისა და ბუღალტერიის პროგრამებზე დაემატება ახალი კურსები შინაარსის გამდიდრების მიზნით. კურსების სილაბუსებში მკაფიოდ აისახება შესაბამისი კომპეტენციები. აღნიშნული ცვლილებები ამ ეტაპზე წარმოდგენილია პროექტის სახით და მათი განხორციელება დაგეგმილია უახლოეს მომავალში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ლობჟანიძემ, აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი სრულად იყო ჩართული კურსის ჩამოყალიბების პროცესში. ასევე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეკონომიკის მიმართულებით კრედიტების გაზრდის პროცესი უკვე დაწყებულია. პარალელურად მიმდინარეობს შინაარსობრივი ნაწილის გაძლიერება, რომლის ერთ-ერთი მიზანია თეორიული და პრაქტიკული ცოდნის თანხვედრა და პრაქტიკული უნარების განვითარება. მაგალითად, იგეგმება შემთხვევების ანალიზის (ე.წ. ქეის სთადის) ინტეგრირება სასწავლო პროცესში. ამასთანავე, გაძლიერდა უცხოენოვანი კომპონენტიც, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის უცხოური ბიზნეს ქეისების ხელმისაწვდომობას. დაწესებულება აქტიურად მუშაობს სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწაზეც.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფო მშვიდობაძემ 4.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკრედიტაციის სტანდარტების თანახმად, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეიძლება დადასტურდეს როგორც სამეცნიერო ნაშრომებით, ასევე პრაქტიკული პროექტებით, რომლებიც ადასტურებენ შესაბამის სფეროში კომპეტენტურობას. შესაბამისად, სტანდარტი არ ითხოვს მხოლოდ დოქტორის ხარისხს და ითვალისწინებს ალტერნატიულ და კომპლემენტარულ გზებს, როგორიცაა პროფესიული საქმიანობა, პრაქტიკულ პროექტებში ლიდერობა და სხვა. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება თანამედროვე ევროპულ პრაქტიკას, სადაც აკადემიური განათლება და პროფესიული გამოცდილება თანაბრად ფასდება. ასევე, ხაზგასმით აღინიშნა პერსონალის კომპეტენციის მრავალგანზომილებიანობა — პერსონალი აქტიურად არის ჩართული როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, არიან სერტიფიცირებული ექსპერტები და ბიზნეს-ასოციაციებისა და საკონსულტაციო საბჭოების წევრები. მათი კომპეტენცია ეფუძნება როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ გამოცდილებას. დოქტორების მოზიდვის მიმართულებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები ხუთზე მეტ ახალ აფილირებულ პირთან, მათ შორის უცხოელ დოქტორებთან. დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის შემუშავებულია საგრანტო სისტემა, ასევე შექმნილია კვლევითი წახალისების მექანიზმი, რომელიც მოიცავს სამეცნიერო პროდუქტიულობის ინდიკატორების (KPI) ინტეგრაციას პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემაში. ამასთანავე, ხორციელდება კვლევების კონვერტირება პუბლიკაციებად, რაც გულისხმობს პრაქტიკული პროექტების გარდაქმნას შიდა და პარტნიორ ჟურნალებში გამოქვეყნებად სტატიებად.
ექსპერტმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა ყურადღება გაამახვილა JavaScript-ის სწავლებაზე. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში არ იყო საუბარი აღნიშნული კურსის სწავლების უარყოფაზე. სასწავლო კურიკულუმი იძლევა შესაძლებლობას, რომ გარკვეული კურსები ისწავლებოდეს როგორც თავისუფალი კრედიტების, ხოლო სხვები — სავალდებულო კურსების სახით. თუ JavaScript განიხილება როგორც ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებული კურსი, მაშინ ან სილაბუსი უნდა მოდიფიცირდეს ისე, რომ იგი დარგობრივ სფეროს მიეკუთვნებოდეს, ან უნდა მიეწოდოს სტუდენტს თავისუფალი კრედიტის სახით. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მოწვეული აკადემიური პერსონალის კომპეტენცია დადასტურებულია ან პრაქტიკული გამოცდილებით, ან კვლევებით. თუმცა, თუ პირს განათლება მიღებული აქვს სხვა სფეროში, მისი კვლევებიც, შესაბამისად, იმ სფეროს ეხება. ამიტომ, პერსონალს კვლევები უნდა ჰქონდეს განხორციელებული კონკრეტულად იმ სფეროში, რომელშიც ასწავლის, და არა ზოგად მიმართულებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა ექსპერტებს კითხვით მიმართა — ფარავს თუ არა აღნიშნული პროგრამა დარგობრივი მახასიათებლის მინიმალურ მოთხოვნებს სწავლის შედეგებთან მიმართებით და იღებს თუ არა სტუდენტი ბიზნესის ბაკალავრის ხარისხისთვის შესაბამის ცოდნასა და კომპეტენციას.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ ფორმალურად სილაბუსები შესაძლოა შეესაბამებოდეს სასწავლო გეგმას, თუმცა

შინაარსობრივად არსებობს გარკვეული ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორება აუცილებელია კურსის გასაძლიერებლად.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფო მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული სწავლის შედეგები კონკრეტულად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და სრულად თავსებადია პროგრამაში განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. შესაბამისად, ვიზიტის დროს ექსპერტებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ ჰქონიათ.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ლობჟანიძემ განმარტა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა დარგობრივი მახასიათებელი და პროგრამა სწორედ ამ საფუძველზეა აგებული. გარდა ამისა, გათვალისწინებულია როგორც მიმდინარე ტენდენციები, ისე საერთაშორისო გამოცდილება, რაც სრულად შეესაბამება ეროვნულ რეგულაციებს.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა JavaScript-ის სწავლების კონტექსტში აღნიშნა, რომ აღნიშნულ კურსს საფუძვლად უნდა ედოს საბაზისო ცოდნა, როგორიცაა HTML და CSS, რადგან ცალკე აღებული JavaScript სტუდენტისთვის პრაქტიკულად გამოუყენებელია.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული კურსი დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას, კიდევ უფრო გააძლიეროს სტუდენტების ტექნიკური უნარები.
ექსპერტმა, თამაზ უზუნაშვილმა განაცხადა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით უკვე არსებობს შესაბამისი კურსები და JavaScript-ის სწავლება ამ კონტექსტში წარმოადგენს არაეფექტურად გამოყენებულ კრედიტს.
საბჭოს წევრი, დავით კაპანაძე დაეთანხმა ექსპერტის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან საჭიროა უფრო მყარი არგუმენტების წარმოდგენა აღნიშნული მიდგომის დასასაბუთებლად.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ სასწავლო კურსებში საათობრივი დატვირთვა ნაკლებია, ხოლო კურსისთვის გამოყოფილი საკონტაქტო საათები არასაკმარისია, რის გამოც საჭიროა დაწესებულებამ ამ მიმართულებითაც გაამახვილოს ყურადღება.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან გურგენიძემ აღნიშნა, რომ დარგობრივ მახასიათებლებთან შეუსაბამობის კუთხით ექსპერტებს არ ჰქონიათ რეკომენდაცია და დაწესებულება ორიენტირებულია პროგრამის განვითარებაზე.
ექსპერტმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში რამდენიმე რეკომენდაციასთან მითითებულია შეუსაბამობა ფორმალურ მახასიათებლებთან და აუცილებელია დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების სრულად დაფარვა. შესაბამისად, საჭიროა გარკვეული საკითხების გაუმჯობესება.
საბჭოს წევრმა, მზია წიკლაურმა დაწესებულებას კითხვით მიმართა — არსებობს თუ არა რაიმე ზომები ენობრივი ბარიერის დასაძლევად იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას ტექნიკური ტერმინოლოგიის დონეზე.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან გურგენიძემ განმარტა, რომ თითოეულ სტუდენტს ჰყავს მენტორი, რომელიც ეხმარება ბარიერების გადალახვაში სხვადასხვა მიმართულებით. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე სწავლობს სტუდენტი, რომელსაც უცხო ენის ცოდნა უჭირს, მას ენიშნება აკადემიური ასისტენტი, რომელიც დაეხმარება აღნიშნული გამოწვევის დაძლევაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:17
დასრულების დრო: 17:28
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბრიტანული უნივერსიტეტის „ლიდერობის„ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაციია კლასტერის ვადით (2032 წლის 01 მარტამდე) 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს დადგენილებით შპს ბრიტანული უნივერსიტეტის „ლიდერობის„ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში „მეწარმეობა და ინოვაციის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (2032 წლის 01 მარტამდე), 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭოს დადგენილებით შპს ბრიტანული უნივერსიტეტის „მეწარმეობა და ინოვაციის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პოგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 24 ივნისს.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის დასახელება: კომპიუტერული ინჟინერია
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: 0714 - ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
სწავლებისენა: ინგლისური
კრედიტებისრაოდენობა: 240
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ვაჟა კელიხაშვილმა, მაქსიმ იავიჩმა და დავით კაპანაძემ.
დავით კაპანაძის თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან, ხოლო ვაჟა კელიხაშვილი და მაქსიმ იავიჩი ჩართულები იყვნენ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში, როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნად განისაზღვრა საბჭოს წევრი - ვლადიმერ ადეიშვილი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, სეიფედინ კადრმა (Seifedine Kadry), დამსწრე საზოგადოებას გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციას უნივერსიტეტი ეთანხმება და შემდეგი ფორმულირებით იქნება სწავლის

შედეგი წარმოდგენილი - „შეუძლია ამოიცნოს, ჩამოაყალიბოს და გადაჭრას რთული საინჟინრო პრობლემები ინჟინერიის, მეცნიერებისა და მათემატიკის პრინციპების გამოყენებით.“ რედაქციაში მოცემული იყო ტერმინი „საბუნებისმეტყველო“, რომელიც მოიხსნება.
ალექსანდრე ბენაშვილმა 1.3 სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არ არსებობს საინჟინრო საქმე, რომელიც თავის თავში არ მოიცავს ეთიკას და პროფესიულ პასუხისმგებლობას, ეს ეხება საბაკალავრო პროექტსაც, რადგან მისი მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად - წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და ობიექტის ტექნოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით დამოუკიდებლად ჩაატაროს კომპიუტერული ინჟინერიის კონკრეტული სისტემის მოწყობილობის შექმნისთვის პრაქტიკული საპროექტო საინჟინრო სამუშაოები, მოახდინოს მიღებული პროდუქტის ანალიზი და შეფასება. სასწავლო კურსის საბაკალავრო პროექტის ბოლო შედეგი ამბობს, რომ ის ახდენს პროფესიული ღირებულებების შეფასებას და სხვებისთვის გაზიარებას. საინჟინრო ეთიკა და საინჟინრო ღირებულებები თითქმის განუყოფელი ცნებებია. მეტიც, საინჟინრო ღირებულებები მოიცავს საინჟინრო ეთიკის საკითხებსაც. ლიტერატურის ანალიზის მიხედვით შემდეგნაირია საინჟინრო ნორმები - ინჟინერმა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა; მან უნდა შექმნას ისეთი მოწყობილობები, რომლებიც ადამიანებს მოუტანს სარგებელს და არ მიაყენებს ზიანს. მნიშნელოვანია ინჟინერმა პასუხისმგებლობა აიღოს თავისი პროფესიული შემოქმედების შედეგებზე და განსაზღვროს საკუთარი, როგორც ინჟინრის დამოკიდებულების ფორმები შექმნის პროცესში სხვა მონაწილეებთან. დაწესებულება მიიჩნევს, რომ საინჟინრო ეთიკის, როგორც ტერმინის გამოკვეთა შესაძლებელია, თუმცა ამის გარეშე საქმე არ ფუჭდება.
ლევან იმნაიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ პირველ კურსში ეთიკის საკითხი არის ჩართული სილაბუსში. გარდა ამისა, არსებობს დამოუკიდებელი სასწავლო კურსი „საინჟინრო ეთიკა“.
ალექსანდრე ბენაშვილმა აღნიშნა, რომ კომპიუტერული ინჟინერიის შეფასებისას ფასდება საბაკალავრო ნაშრომი და კიდევ 4 სასწავლო კურსი, ესენია - საკომუნიკაციო ქსელების ორგანიზება, SCADA სისტემების დაპროექტება, ჩაშენებული სისტემები, კომპიუტერული სისტემის მოდერნიზაცია, კომპიუტერული სისტემების წარმოება. პირველ სამ საგანში, რომლითაც საბოლოოდ ფასდება სტუდენტი, გათვალისწინებულია ჯგუფური პროექტები. რაც შეეხება პროგრამულ ინჟინერიას, ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ის არის ძალიან ფართო და ყოველთვის ხდება გარკვეული საკითხების გამოკვეთა. დაწესებულების მიზნები კი არის კომპიუტერული სისტემები, კომპიუტერული ქსელები, ჩაშენებული სისტემები, ტექნოლოგიური პროცესების მართვის სისტემები. აქ არ არის პრიორიტეტი პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით სპეციალისტის მომზადება. ამის სწავლება უნივერსიტეტს ზედმეტად მიაჩნია, რადგან პროგრამირების სისტემები ისედაც განხილულია საგნებში ჩაშენებულ სისტემებში, IoT და SCADA სისტემებში.
ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ ეს კურსი უნივერსიტეტში არსებობს 4 წელია. შესაბამისად, ჩამოყალიბდა მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს ქართული დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს, უნივერსიტეტის მიდგომები მიმართულია დასაქმების ბაზრის უზრუნველყოფაზე. აქედან გამომდინარე დაწესებულება არ ამზადებს პროგრამული ინჟინერიის სპეციალისტებს, არამედ ის ამზადებს კომპიუტერული ინჟინერიის სპეციალისტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით. მას აინტერესებდა 1.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მათი პოზიცია.
ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ განმარტა, რომ არსებობს საგანი, თუმცა არ ჩანს ის, რომ მას იყენებენ საბოლოო შეფასებისას. ჯგუფურ პროექტებთან მიმართებითაც ხდება იგივე.
საერთაშორისო ექსპერტმა, სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ მოუთხოვია პროგრამული უზრუნველყოფის ცალკე საგნად დამატება, არამედ მოთხოვნა იყო, რომ თავად კურსში შესულიყო რამდენიმე საკითხი.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა ეთიკა შედიოდა თუ არა შეფასების კრიტერიუმში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოცემულია კურსი, რომელიც მოიცავს ეთიკასა და პროფესიულ ღირებულებებს. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები შეფასდეს ეთიკური კუთხით. საინჟინრო საქმეში ეთიკის გათვალისწინება არის მნიშვნელოვანი.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ ნებისმიერ ლიტერატურაში მითითებულია, რომ საინჟინრო ღირებულებები მოიცავს საინჟინრო ეთიკას.
ციური დურულმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია ჯგუფური პროექტების არსებობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:16
დასრულების დრო: 18:30
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით (2032 წლის 24 ივნისამდე) 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 24 ივნისამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკოლოგიის” საბაკალავრო საგანმამათლებლო პროგრამი აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
პროგრამის დასახელება: ეკოლოგია
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0521 - გარემოსმცოდნეობა
სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა აკადემიური (ლევან შავაძე) და **შრომითი ურთიერთობა** (ვლადიმერ ადეიშვილი) **დაწესებულებასთან.**
აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა ციური დურულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, მლადენ ქრაიაჩიჩმა (Mladen Krajacic), დამსწრე საზოგადოებას გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ საბაკალავრო პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტებს. მას რეკომენდაციათა უმეტესობა უკვე გათვალისწინებული აქვს და განახლებული სახით იქნება წარმოდგენილი აკადემიურ საბჭოზე მომდევნო წლისთვის.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სხდომის თავმჯდომარემ, ციური დურულმა პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით, სადაც წერია, რომ დაწესებულებამ ასახოს მისია, პროგრამის სტრატეგიასთან შესაბამისობა და ა.შ. კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა თუ როგორ უნდა შეასრულოს ეს რეკომენდაცია დაწესებულებამ, რადგან თვითშეფასების ანგარიშში ერთი წლის განმავლობაში ვეღარ დაწერს ვერაფერს.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა თუ რამდენად რელევანტურია სწავლის შედეგების 4 წელიწადში ერთხელ შეფასება იმისათვის, რომ სრულფასოვნად განხორციელდეს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრა, შეგროვება, ანალიზი, უკუკავშირის მიღება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით და ა.შ. მეორე კითხვა ეხება 1.4 სტანდარტს. ეს კითხვა ძირითადად მიემართება ექსპერტებს. იქ ჩანაწერია ინგლისური ენის ხარვეზთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა თუ რაში მდგომარეობს ინგლისური ენის სწავლების პროცესში არსებული ხარვეზი, რომელიც ნარატივშია მითითებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლის შედეგების შეფასება, რა თქმა უნდა, ყოველწლიურად ხდება, მაგრამ 4 წლიანი ციკლი ეხება მხოლოდ სამიზნე ნიშნულებს.
ექსპერტმა განმარტა, რომ ადგილზე ვიზიტისას ნათელი გახდა, რომ როგორც აკადემიურ პერსონალის, ასევე სტუდენტებს არ ჰქონდათ ენის ფლობის შესაბამისი დონე. თარგმნის გარეშე შეუძლებელიც კი იყო მათთან კომუნიკაცია.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა თუ როგორ უზრუნველყოფს უნივერსიტეტი საველე პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესის

ორგანიზებას დადებული ხელშეკრულების გარეშე. ასევე, საველე პრაქტიკის ერთ-ერთ კურსში მითითებულია, რომ პროცესი ხორციელდება 12 კვირის განმავლობაში. მას აინტერესებდა სასწავლო პროცესის პარალელურად მიმდინარეობს თუ არა პრაქტიკა. და თუ ეს ასეა, როგორ ხდება 12 დღეზე გადანაწილებული პრაქტიკის ორგანიზება სასწავლო პროცესის პარალელურად, ისე, რომ არ შეფერხდეს ლექცია-სემინარების ჩატარება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტს გააჩნია ხელშეკრულებებიც და მემორანდუმებიც შესაბამის ობიექტებთან, სადაც მუდმივად ხორციელდება პრაქტიკები. ზოგ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მემორანდუმი და არა ხელშეკრულება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საველე პრაქტიკა ხორციელდება მაშინ, როდესაც მთავრდება კურსი. შესაბამისად, სწავლის პარალელურად არ მიმდინარეობს ეს პრაქტიკები. გასვლით ღონისძიებებსაც უჭერს უნივერსიტეტი მხარს და სტუდენტებს ეძლევათ საშუალება ქალაქგარეთ რამდენიმე დღიანი პრაქტიკების გავლის.
ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ ნარჩენების მართვა და მისი დახარისხება სხვადასხვა მასალების მიხედვით არც ერთ სასწავლო კურსში არ იყო ჩართული და აინტერესებდა მათი პოზიცია. ასევე, ეკოლოგია არც ერთ სასწავლო კურსში არ ისწავლება ანალიზის კუთხით. მას ასევე აინტერესებდა თუ როგორ ხდებოდა ერთობლივი პროექტების შეფასება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში გაერთიანდა ტექნიკური უნივერსიტეტი და იქ არის სპეციალობა გარემოს დაცვა. ამიტომ პირველადი ეტაპისთვის გადაწყდა, რომ არჩევით საგნად იყოს მითითებული და გაძლიერდეს პრაქტიკული მხარე. რაც შეეხება პროექტებს. ამაზე მუშაობა უნდა დაიწყოს დაწესებულებამ მესამე კურსიდან. შეირჩეს გარკვეული თემები და მათ მოერგება სტუდენტთა ჯგუფი და დაიწყოს მუშაობა, რათა მერვე სემესტრის ბოლოსთვის მზად იყოს პროექტი. მონო პროექტის გაკეთებას ხელს უშლის ის, რომ 30 სტუდენტი სათითაოდ პრაქტიკულ ნაწილს ვერ გაივლიან.
შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გაწერილია სილაბუსებში თუ რამდენი ქულა რას ეთმობა.
ექსპერტთა წარმომადგენელმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა რეკომენდაციაში ხაზგასმულ ახალგაზრდა პერსონალთა ნაკლებობის შესახებ დაწესებულების აზრი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის განვითარების გეგმა გულისხმობს სწორედ ამ საკითხის აღმოფხვრას. დაწესებულებას უკვე გამოცხადებული აქვს მიღება და მიმდინარეობს საბუთების განხილვა. ასევე გამოცხადებულია კონკურსი როგორც ასისტენტ პროფესორებზე, ისე - ასოცირებულებზე. მაშასადამე, მისი თქმით, უმოკლეს ვადაში განახლდება პერსონალი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:42
დასრულების დრო: 20:20
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2032 წლის 24 ივნისამდე 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 24 ივნისამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 24 ივნისს.

საკითხების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, საბჭოს წევრებმა გადაწყვეტილებით დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე საკითხი განეხილად ერთად.

6. მეექვსე საკითხი: საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1570039 ოქმის პირველ ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

7. მეშვიდე საკითხი: "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსები (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571165 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

8. მერვე საკითხი: "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

9. მეცხრე საკითხი: "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571180 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ირინა ლობჟანიძემ და ბონდო გასვიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

მეექვსე - მეცხრე საკითხების ზეპირი მოსმენა
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა შუამდგომლობა დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამ პროგრამაში დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში (№1571165

(06/12/2024), №1571179 (06/12/2024) და №1571180 (06/12/2024)) და 2024 წლის 22 ნოემბრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში (№1570039 (06/12/2024)), ფიქსირდება გარკვეული ტექნიკური ხარვეზები.
კერძოდ:
1. ზემოხსენებული სამივე პროგრამის გადაწყვეტილებებსა და აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში წარმოდგენილი მეხუთე რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით" - არასწორად არის ფორმულირებული და შინაარსობრივად არ ემთხვევა თავად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ორიგინალ ვერსიაში წარმოდგენილ რეკომენდაციას:"It is recommended that the higher education institution use more intensively research support mechanisms to enhance the scientific and research activities of supervisors of master's theses" (გვ.50). ასევე აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის ინგლისურ და ქართულ ვერსიებში, ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შინაარსი და ფორმულირება განსხვავდება თარგმანის ხარვეზიდან გამომდინარე. დაწესებულების წერილში არსებული ინფორმაციით, ხსენებული საკითხის შესახებ დაწესებულებამ საბჭოს სხდომამდე მიმართა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ხოლო შემდგომ აღნიშნულ ტექნიკურ ხარვეზზე უნივერსიტეტის მხრიდან ყურადღება გამახვილდა აკრედიტაციის საბჭოზეც, რასაც ადასტურებს აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში მოცემული ჩანაწერიც: "4.2 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს, განმარტა, რომ რეკომენდაციის ინგლისურ და ქართულ ვერსიაში შინაარსობრივი აცდენა იყო, კერძოდ, რეკომენდაციის ქართულ ვერსიაში მოცემული იყო როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება, ხოლო ინგლისურ ვერსიაში მოცემული იყო მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით დაწესებულებამ მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს".
ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი რეკომენდაცია საჭიროებს რედაქტირებას და სწორი შინაარსითა და ფორმულირებით ჩამოყალიბებას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, 4.2. ქვესტანდარტში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად, როგორც აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში, ასევე სამივე პროგრამის გადაწყვეტილების დოკუმენტში.
2. ზემოხსენებული სამივე პროგრამის გადაწყვეტილებებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში წარმოდგენილი მესამე და მეოთხე რეკომენდაციები როგორც შინაარსობრივად, ასევე ფორმულირების თვალსაზრისით იდენტურია: "რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" პრინციპების შესაბამისად", რაც საჭიროებს გასწორებას და დუბლირების აღმოფხვრას როგორც აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში, ასევე სამივე პროგრამის გადაწყვეტილების დოკუმენტში.
აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ზემოთ მითითებულ გადაწყვეტილებებსა და ოქმის პირველ ნაწილში აღნიშნული ტექნიკური ხარვეზების გასწორება.

მეექვსე საკითხი:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისტრაზე დააყენა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1570039 ოქმის პირველ ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორება

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1570039 ოქმის პირველ ნაწილში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და საგანმანათლებლო პროგრამებისათის გაცემული რეკომენდაციები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
პროგრამა 1 (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel -ის გამოყენებით.
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
4. “რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.”

რჩევები:

1. სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
2. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

3. სასურველია, ბაზარზე მოთხოვნადი სასწავლო კურსების დამატება: შესავალი Python -ით პროგრამირებაში, Power BI-ის საფუძვლები, ასევე სტაჟირების კომპონენტის გადატანა ძირითად საგნებში, რაც გაზრდის პროგრამის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას და დასაქმების მაჩვენებელს.
4. სასურველია, გაუმჯობესდეს სასწავლო პროგრამების ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
5. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა გათვითცნობიერების დონე და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობებში, კონფერენციებსა და მათი აკადემიური დონის შესაბამის კვლევით აქტივობებში.
6. სასურველია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გამოყენებული საკონსულტაციო პროცესების ეფექტურობა, რათა გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.
7. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის სრულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
8. სასურველია, უნივერსიტეტმა იმ პერსონალისათვის, რომლებსაც არ აქვთ აკადემიური გამოცდილება უზრუნველყოს სავალდებულო კურსები სწავლის მეთოდებში.
9. სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრები.

პროგრამა 2 (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის)

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel -ის გამოყენებით.
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
4. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
2. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
3. სასურველია, ბაზარზე მოთხოვნადი სასწავლო კურსების დამატება: შესავალი Python-ით პროგრამირებაში, Power BI-ის საფუძვლები, ასევე სტაჟირების კომპონენტის გადატანა ძირითად საგნებში, რაც გაზრდის პროგრამის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას და დასაქმების მაჩვენებელს. სასურველია, თავისუფალი კომპონენტის სახით მინიმუმ 10 კრედიტის დამატება, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს სხვა პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსები და ხელს შეუწყობს შემომავალი მობილობის შესაძლებლობის გაზრდას.
4. სასურველია, გაუმჯობესდეს სასწავლო პროგრამების ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
5. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა გათვითცნობიერების დონე და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობებში, კონფერენციებსა და მათი აკადემიური დონის შესაბამის კვლევით აქტივობებში.
6. სასურველია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გამოყენებული საკონსულტაციო პროცესების ეფექტურობა, რათა გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.
7. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის სრულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
8. სასურველია, უნივერსიტეტმა იმ პერსონალისათვის, რომლებსაც არ აქვთ აკადემიური გამოცდილება უზრუნველყოს სავალდებულო კურსები სწავლის მეთოდებში.
9. სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრები.

პროგრამა 3 (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის):

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა და ბიზნეს სამართალი
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.

4. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
2. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
3. სასურველია, თავისუფალი კომპონენტის სახით მინიმუმ 5 - 10 კრედიტის დამატება, რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას სხვა პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსები დახელს შეუწყობს შემომავალი მობილობის შესაძლებლობის გაზრდას.
4. სასურველია, გაუმჯობესდეს სასწავლო პროგრამების ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
5. სასურველია, სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომების შესრულების და შეფასების დროს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს აკადემიური წერის სტილის დაცვას.
6. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა გათვითცნობიერების დონე და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობებში, კონფერენციებსა და მათი აკადემიური დონის შესაბამის კვლევით აქტივობებში.
7. სასურველია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გამოყენებული საკონსულტაციო პროცესების ეფექტურობა, რათა გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.
8. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის სრულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar,ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
9. სასურველია, უნივერსიტეტმა იმ პერსონალისათვის, რომლებსაც არ აქვთ აკადემიური გამოცდილება უზრუნველყოს სავალდებულო კურსები სწავლის მეთოდებში.
10. სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრები.

მეშვიდე საკითხი:

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსები (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571165 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571165 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და გაცემული რეკომენდაცია ჩამოყალიბდეს შემდენაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel -ის გამოყენებით.
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
4. “რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.”

რჩევები:

1. სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
2. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
3. სასურველია, ბაზარზე მოთხოვნადი სასწავლო კურსების დამატება: შესავალი Python -ით პროგრამირებაში, Power BI-ის საფუძვლები, ასევე სტაჟირების კომპონენტის გადატანა ძირითად საგნებში, რაც გაზრდის პროგრამის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას და დასაქმების მაჩვენებელს.
4. სასურველია, გაუმჯობესდეს სასწავლო პროგრამების ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
5. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა გათვითცნობიერების დონე და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობებში, კონფერენციებსა და მათი აკადემიური დონის შესაბამის კვლევით აქტივობებში.
6. სასურველია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გამოყენებული საკონსულტაციო პროცესების ეფექტურობა, რათა გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.

7. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის სრულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
8. სასურველია, უნივერსიტეტმა იმ პერსონალისათვის, რომლებსაც არ აქვთ აკადემიური გამოცდილება უზრუნველყოს სავალდებულო კურსები სწავლის მეთოდებში.
9. სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრები.

მერვე საკითხი:
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და გაცემული რეკომენდაცია ჩამოყალიბდეს შემდენაირად:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel -ის გამოყენებით.
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
4. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
2. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
3. სასურველია, ბაზარზე მოთხოვნადი სასწავლო კურსების დამატება: შესავალი Python-ით პროგრამირებაში, Power BI-ის საფუძვლები, ასევე სტაჟირების კომპონენტის გადატანა ძირითად საგნებში, რაც გაზრდის პროგრამის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას და დასაქმების მაჩვენებელს. სასურველია, თავისუფალი კომპონენტის სახით მინიმუმ 10 კრედიტის დამატება, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს სხვა პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსები და ხელს შეუწყობს შემომავალი მობილობის შესაძლებლობის გაზრდას.
4. სასურველია, გაუმჯობესდეს სასწავლო პროგრამების ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
5. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა გათვითცნობიერების დონე და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობებში, კონფერენციებსა და მათი აკადემიური დონის შესაბამის კვლევით აქტივობებში.
6. სასურველია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გამოყენებული საკონსულტაციო პროცესების ეფექტურობა, რათა გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.
7. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის სრულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
8. სასურველია, უნივერსიტეტმა იმ პერსონალისათვის, რომლებსაც არ აქვთ აკადემიური გამოცდილება უზრუნველყოს სავალდებულო კურსები სწავლის მეთოდებში.
9. სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრები.

მეცხრე საკითხი

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571180 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571180 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და გაცემული რეკომენდაცია ჩამოყალიბდეს შემდენაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა და ბიზნეს სამართალი
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
4. რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
2. სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
3. სასურველია, თავისუფალი კომპონენტის სახით მინიმუმ 5 - 10 კრედიტის დამატება, რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას სხვა პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსები დახელს შეუწყობს შემომავალი მობილობის შესაძლებლობის გაზრდას.
4. სასურველია, გაუმჯობესდეს სასწავლო პროგრამების ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
5. სასურველია, სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომების შესრულების და შეფასების დროს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს აკადემიური წერის სტილის დაცვას.
6. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა გათვითცნობიერების დონე და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობებში, კონფერენციებსა და მათი აკადემიური დონის შესაბამის კვლევით აქტივობებში.
7. სასურველია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გამოყენებული საკონსულტაციო პროცესების ეფექტურობა, რათა გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.
8. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის სრულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar,ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
9. სასურველია, უნივერსიტეტმა იმ პერსონალისათვის, რომლებსაც არ აქვთ აკადემიური გამოცდილება უზრუნველყოს სავალდებულო კურსები სწავლის მეთოდებში.

10. სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგს საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 24 ივნისის 20:07 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
წევრი
ადეიშვილი ვლადიმერი